პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

გამოცემის 38-ე წელი
№ 166 (11170) | სამშაბათი. 22 ივლისი. 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ავიაციის დიდი დღესასწაული



გაღაჭრით მოვაბრუნოთ მოვლენათა საჭე ომის გზიდან მშვიდობის გზაზე

კაცობრიობა განიცდის თავისი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ მომენტს. მსოფლიო კატასტროფის ზღვარზეა. შეიარაღებული ინტერვენცია, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ლიბანში, ხოლო შემდეგ ინგლისმა იორდანიაში მოახდინეს, ერაყსა და არაბული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში შეიარაღებული შეჭრის საფრთხე — ყოველივე ამას მოსდევს მეტად საშიში შედეგები და შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ჯაჭვური რეაქცია, რომლის შეჩერება უკვე შეუძლებელი გახდება.

ისტორიის ამ მრისხანე ქამს, როდესაც ერთი წუთის დაყოვნებაც კი არ შეიძლება, საბჭოთა კავშირს, რომელიც მუდამ აბრძვის მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, არ შეუძლია გულგრილად მოეკიდოს ამას, რაც ხდება ახლო და შუა აღმოსავლეთში, უშუალოდ მისი საზღვრების ახლოს. საბჭოთა კავშირს არ შეუძლია განზე დარჩეს, როცა წყდება საკითხი: ომი უნდა იყოს თუ მშვიდობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ.ს. ხრუშჩოვმა წერილებით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დ. ეიზენჰაუერს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ჰ. მაკმილანს, საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს შ. დე გოლს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ჯ. ნერუს. ეს წერილები, რომლებიც გუშინ გამოქვეყნდა „პრავდაში“, დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტებია. ისინი გამოხატავენ მთელი საბჭოთა ხალხის ნებას, რომელიც მტკიცედ მოითხოვს ახლო და შუა აღმოსავლეთში ომის კერის ჩაქრობას, მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადებაა დაუყოვნებლივ, 22 ივლისს, მოიწყოს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ინდოეთის მთავრობათა მეთაურების თათბირი საერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მონაწილეობით იმისათვის, რომ ღაუყოვნებლივ მიღებულ იქნეს ღონისძიებანი დაწყებული სამხედრო კონფლიქტის შესაწყვეტად.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო ინტერვენცია ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ განგრძობაა კოლონიზატორთა ძველი პოლიტიკისა, რომლის მსხვერპლი ერთ დროს იყო აღმოსავლეთის ბევრი ქვეყანა. ნავთობი. ახალი მოგების წყურვილი ამოქმედებს ინტერვენტებს. ვერავინ ვერ მოატყუა და ვერც მოატყუებს ყალბი განცხადებები ამერიკელ და ინგლისელ მოქალაქეთა „დაცვის“ შესახებ, ხალხების მიერ უარყოფილ გაკოტრებულ მმართველთა აღოდებების შესახებ „დასახმარებლად“.

ცდილობენ რა დაამშვიდონ შეშფოთებული მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, ინტერვენციის ორგანიზატორები იჩქარიან განცხადონ, თითქოს მათ განზრახული აქვთ დასჯერდნენ ლიბანისა და იორდანიის ფარგლებს. მაგრამ კარგად ცნობილია, რომ არც ერთ აგრესორს არ განუცხადებია წინასწარ. რაოდენ ბევრი ქვეყნის დაპყრობას ამბობს იგი. ასე მოქმედებდა, უნდა ითქვას, ჰიტლერი, რომელიც, თავს ესხმოდა რა მორიგ მსხვერპლს, აცხადებდა, რომ ეს არის მისი უკანასკნელი მიზანი.

ამერიკისა და ინგლისის რეაქციული პრესა არ მალავს, რომ კოლონიზატორთა ხარბი თვალი მიპყრობილია ერაყისაკენ. ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ მარტო ლიბანის ან იორდანიისათვის არ ღირდა ასეთი ავანტიურის დაწყება. ამერიკელი იმპერიალისტები აპირებენ დაამყარონ თავისი „წესები“ არა მარტო ლიბანში, არამედ აგრეთვე მთელ არაბულ აღმოსავლეთში. დაიწყო რა ერთ ადგილას, ომი ადვილად შეიძლება გაჩაღდეს, როგორც ჩაღდება ცეცხლი ძლიერი ქარის დროს, და გადაიქცეს მსოფლიო ხანძრად. ასეთ პირობებში ყოველგვარი ლაპარაკი „პატარა“ ან „ლოკალურ“ ომებზე მოტყუება ან გულუბრყვილო ილუზიაა, საომარი მოქმედების შეზღუდულობის იმედი მოტყუება ან თავის მოტყუებაა.

აგრესიის ახლანდელი ორგანიზატორები, სურთ რა დაამშვინონ ხალხები და გული გაიმაგრონ, ახლა თავშეუკავებლად იკვეხნიან, რომ შეუძლიათ გაანადგურონ მთელი მსოფლიო. განსაკუთრებულ გულმოდგინეობას იჩენენ ამ სამარცხვინო ასპარეზზე ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი მხედართმთავრები, რომლებიც პროვოკაციულ, ომისგამაღვივებლურ სიტყვებს წარმოთქვამენ.

მაგრამ დაშინება უვარგისი საშუალებაა საერთაშორისო ურთიერთობაში. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს აქვთ ატომური და წყალბადის ბომბები, ავიაცია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

მაგრამ კარგად ცნობილია აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირსაც აქვს ატომური და წყალბადის ბომბები, ავიაცია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი და ჰლუს ყველა სახეობის ბალისტიკური რაკეტები, მათ შორის საკონტინენტთაშორისო მოქმედებისა. მაგრამ საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ამ პასუხსაგებ ქამს სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეები უნდა ეძებდნენ გადაწყვეტას არა საომარი ვნებათაღელვის გაღვივებაზე, არამედ გონებასა და სიმშვიდეზე დაყრდნობით, რათა გამორიცხონ ომი და უზრუნველყონ მთელი მსოფლიოს მშვიდობა. საბჭოთა მთავრობის წინადადება ხუთი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ უკვე მთელმა მსოფლიომ შეიტყო. უცხოეთიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მას უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდა მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ მიიღო საბჭოთა წინადადება და გამოთქვა მზადყოფნა ხელი შეუწყოს შეხვედრის წარმატებას.

საბჭოთა კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივას მხურვალედ მიესალმებიან სოციალისტური ქვეყნების ხალხები, არაბული აღმოსავლეთის ხალხები, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფართო საზოგადოებრიობა.

„ასეთი თათბირის მოწყობა ახლანდელ ვითარებაში, — წერს კაიროს გაზეთი „აშ-შაბი“, — ყველაზე გონივრული მოქმედება იქნებოდა“. ინგლისის ლეიბორისტული პარტიის აპარატის ჰეიტსკელმა განაცხადა: „ეს შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, ხელიდან არ უნდა გავუშვათ. აი, ბოლოს. იმის შესაძლებლობა, რომ შევაჩეროთ ომისაკენ სვლა და დასაბამი მივცეთ მოწესრიგებას შუა აღმოსავლეთში“. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრმა ანფუზომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერს გაუგზავნა დეპეშა, მოითხოვა რა დაუყოვნებლივ დაეთანხმოს ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებას. შვეიცარიის პრემიერ-მინისტრი ერლანდერი მიესალმა საბჭოთა მთავრობის წინადადებას.

მთელი მსოფლიოს ხალხები მოითხოვენ დაუყოვნებლივ და მტკიცე ღონისძიებებს ახლო და შუა აღმოსავლეთში შეიარაღებული ინტერვენციის შესაწყვეტად, ახალი ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

„პრავდის“ 21/VII მოწინავე.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲕᲚᲐᲓᲘᲚᲘᲡᲚᲐᲕ ᲒᲝᲛᲣᲚᲙᲐᲡ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲘᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲠᲐᲪᲘᲡᲚᲐᲕᲘᲡ

ძვირფასო ამხანაგებო!

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — პოლონეთის აღორძინების დღის მე-14 წლისთავის გამო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თქვენ და თქვენი სახით მთელ მოძმე პოლონელ ხალხს უგულითადეს მოლოცვას გითვლიან და მხურვალედ გისურვებენ შემდგომ წარმატებებს სოციალიზმის შენებლობის საქმეში.

საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად უხარიათ ის, რომ სახალხო ხელისუფლების თოთხმეტი წლის მანძილზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, რომ სახალხო პოლონეთი ახლა არის განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანა, რომელსაც ღირსეულად უკავია თვალსაჩინო ადგილი სოციალისტურ ბანაკში. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ პოლონეთის მშრომელები თავისი ნაცადი ავანგარდის — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით ახალ გამარჯვებებს მიაღწევენ სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, ისევე როგორც ყველა სოციალისტური ქვეყანა, თანმიმდევრულად იბრძვის იმისათვის, რომ გაფართოვდეს ყოველმხრივი თანამშრომლობა სახელმწიფოთა შორის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა. მტკიცედ იბრძვიან რა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, სოციალისტური ქვეყნების ხალხები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მშვიდობის საქმისადმი მტრული ძალების ოინებს და ყველაფერს აკეთებენ, რაც კი მათზე დამოკიდებულია, რათა ჩაშალონ იმპერიალისტური რეაქციის აგრესიული გეგმები და არ დაუშვან ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება.

ჩვენი ქვეყნების ხალხები, რომლებმაც უდიდესი მსხვერპლი გაიღეს უკანასკნელ ომში, გულგრილად ვერ უყურებენ დასავლეთ გერმანიაში რევანშიზმისა და მილიტარიზმის აღორძინებას. ისინი მთელი სიმტკიცით გმობენ საშიში ხასიათის საომარ სამზადისს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და განსაკუთრებით ბუნდესტაგის გადაწყვეტილებას ატომგულისა და რაკეტული იარაღით ბუნდესვერის შეიარაღების შესახებ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დასავლეთ გერმანიაში გამოჩნდებიან ისეთი ძალები, რომლებიც შეძლებენ ფხიზლად შეაფასონ მდგომარეობა და შეწყვიტონ ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელსაც შეიძლება დამღუპველი შედეგები მოჰყვეს არა მარტო გერმანელი ხალხისათვის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოსათვის.

საბჭოთა ხალხისა და პოლონელი ხალხის ძმური მეგობრობა, რომელიც განამტკიცა საერთო მტრებთან ბრძოლამ, კვლავ მტკიცდება და ამით ხელს უწყობს მძლავრი სოციალისტური ბანაკის ერთიანობის შემდგომ გაძლიერებას. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირმა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირმა, რომლებიც 1958 წლის მაისში გაიმართა მოსკოვში, ერთხელ კიდევ დაანახვა მთელ მსოფლიოს ურყევი ერთიანობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, და მოასწავებენ ახალ ეტაპს სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთდახმარების განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ უსურვებენ პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, მომძე პოლონელ ხალხს და პირადად თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, ახალ-ახალ წარმატებას სოციალისტური მშენებლობის საქმეში, ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს სამარადისო და ურღვევ მეგობრობას საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხებს შორის!

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ხრუშჩოვი

ვარშავა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ

მოსკოვი, 1958 წლის 21 ივლისი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 19 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მაკმილანს, საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დე გოლსა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს გაუგზავნა წერილები, რომლებშიც მიმართავს წინადადებით დაუყოვნებლივ შეიკრიბოს ამ სახელმწიფოთა მეთაურების თათბირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მონაწილეობით, რათა დაუყოვნებლივ განხორციელონ ღონისძიებანი ახლო და შუა აღმოსავლეთში დაწყებული სამხედრო კონფლიქტის შესაწყვეტად. თათბირის თარიღისა და ადგილის საკითხი, ნათქვამია წერილებში, დაბრკოლება ვერ იქნება. საბჭოთა მთავრობის წინადადებაა შეხვდნენ ერთმანეთს ჟენევაში 22 ივლისს.

ნ. ს ხრუშჩოვის წერილში პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი ნათქვამია:

შეიარაღებულ ინტერვენციას, რომელიც დაიწყეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ლიბანში, ხოლო შემდეგ ინგლისმა იორდანიაში და ინტერვენციის საფრთხეს, რაც მოელის ერაყსა და არაბთა სამყაროს ყველა სახელმწიფოს, შეიძლება მოჰყვეს მეტად საშიში და გაუთვალისწინებელი შედეგები, შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ჯაჭვური რეაქცია, რომლის შეჩერება უკვე შეუძლებელი იქნება. ისტორიის ამ მრისხანე ქამს, როცა ერთი წუთის დაყოვნებაც აღარ შეიძლება, საბჭოთა კავშირი, რომელიც ყოველთვის იბრძვის მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, გულგრილად ვერ უყურებს იმას, რაც ახლო და შუა აღმოსავლეთში ხდება, მისი საზღვრების უშუალო სიახლოვეს. საბჭოთა კავშირი განზე ვერ გადგება, როცა წყდება საკითხი იყოს ომი თუ მშვიდობა.

ახლანდელ პირობებში ჩვენი ქვეყნების მთავრობათა ყველაზე კეთილგონივრული აქტი იქნებოდა დიდ სახელმწიფოთა მეთაურების თათბირის მოწვევა ახლო და შუა აღმოსავლეთში დაწყებული სამხედრო კონფლიქტის მოსაგვარებლად. ჩვენი წინადადებაა, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, შევიკრიბოთ რომელ დღესა და საათსაც გნებავთ, და რაც უფრო მალე იქნება, მით უკეთესია. ისტორია ცოტა დროს გვაძლევს იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ომი, თავიდან ავიცილოთ მრავალი მილიონი ადამიანის მოსპობა, თავიდან ავიცილოთ უდიდეს მატერიალურ და კულტურულ ფასეულობათა მოსპობა. საბჭოთა მთავრობა მზად არის თათბირი მოწვეულ იქნას რომელ ადგილსაც გნებავთ ვაშინგტონის ჩათვლით, თუ რაიმე მიზეზის გამო ჟენევას არ მოისურვებენ დასავლეთის სახელმწიფოები. ყველაზე მთავარია, არ დავაყოვნოთ, რადგან ზარბაზნები უკვე იწყებენ სროლას.

აგრესორები ახლა ცეცხლს ეთამაშებიან, ნათქვამია ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში ეიზენჰაუერისადმი. ხანძრის გაჩაღება ყოველთვის უფრო ადვილია, ვიდრე ჩაქრობა, მაგრამ თუ ხანძარი უკვე გაჩაღეს, უმჯობესია ცეცხლი დასაწყისშივე ჩავაქროთ, ვიდრე მაშინ, როცა ალი ავარდება და მეზობელ სახლებსაც მოედება. ამჟამად შექმნილ პირობებში ყველაზე სწორი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი — ოკუპანტების ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ახლო და შუა აღმოსავლეთიდან და ამ რაიონის ქვეყნების ხალხებისათვის იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ინდოეთის მთავრობათა მეთაურების თათბირმა შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები სამხედრო კონფლიქტის შესაწყვეტად ახლო და შუა აღმოსავლეთში და შეიტანოს ეს რეკომენდაციები უშიშროების საბჭოში და რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ ორგანომ განიხილოს ისინი არაბთა ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით. თათბირს შეუძლია აგრეთვე განიხილოს საკითხი ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში იარაღის მიწოდების შეწყვეტის შესახებ, როგორც ამას სსრ კავშირი წინათაც მოითხოვდა.

ᲢᲣᲨᲘᲜᲝᲡ ᲐᲔᲠᲝᲓᲠᲝᲛᲖᲔ

ზეიმით და სიხარულით აღნიშნეს ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე. წელს იგი დაემთხვა ღირსშესანიშნავ თარიღს — მამაცი საბჭოთა მფრინავების, პლანერისტების, პარაშუტისტების, საავიაციო მრეწველობის მუშაკთა დღესასწაულის დაწესების ოცდახუთ წლისთავს.

20 ივლისს მოსკოვში, ტუშინოს აეროდრომზე გაიმართა დიდი საავიაციო დღესასწაული. დღესასწაულში, საბჭოთა სპორტსმენების გარდა, მონაწილეობა მიიღეს ბულგარელმა, უნგრელმა, პოლონელმა, რუმინელმა და ჩეხოსლოვაკმა სპორტსმენებმა

მჭუხარე ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი სსრ კავშირის გ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის ტრიბუნაზე ამხანაგების კ. ე. ვოროშილოვის, ა. ი. მიკოიანის, მ. ა. სუსლოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ჰ. ნ. პოსპელოვის, ა. ნ. კოსიგინის, დ. ს. პოლიანსკის გამოჩენას. აქვე იყვნენ საბჭოთა კავშირის მარშლები და ავიაციის მარშლები.

მაყურებელთა ტაშის გრიალში ცაში აიტაცეს ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო ალამი, კარლ მარქსისა და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტები, მოწოდებანი „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „დიდება საბჭოთა ხალხს!“, „მშვიდობა მსოფლიოს!“.

პირველი განყოფილება იყო პლანერული. 40 წუთის განმავლობაში აეროდრომზე დანავარდობდნენ უმოტორო ამარატები. უმაღლესი პილოტაჟის დიდი ოსტატობა ცხადყვეს საბჭოთა პლანერისტებმა ლევ პონდარუკმა პლანერით „მერცხალი“, ვიქტორ მახოვმა და ვასილ ოხონკომ ორი პლანერით „პრიმორეცი“, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, საბჭოთა კავშირის გმირმა სერგი ანოხინმა — 1933 წელს ავიაციის დღის აღსანიშნავი პირველი საჰაერო პარადის მონაწილემ, სპორტის ოსტატმა მარინე პილაევამ და სხვებმა. საჰაერო ასპარეზზე გამოვიდნენ აგრეთვე პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის პლანერისტები.

ჯერ ავიაციის არცერთ დღესასწაულზე მაყურებლებს არ უნახავთ ასეთი სხვადასხვა ინდივიდუალური პილოტაჟი სხვადასხვა კონსტრუქციის ვერტმფრინავებზე. აეროდრომს გადაუარა მსოფლიოში ყველაზე დიდმა ტურბრახნიანმა ვერტმფრინავმა „მი-6“-მა. ეს ვერტმფრინავი შექმნა ლენინური პრემიის ლაურეატმა მ. ლ. მილმა. დამსწრენი აღაფრთოვანა „მფრინავმა ვაგნმა“ („იაკ-24“) — რომელიც აგებულია სოციალისტური შრომის გმირის ა. ს. იაკოვლევის კონსტრუქციით და ნ. ი. კამოვის ვერტმფრინავმა — „კ-10“, რომელიც სატვირთო ავტომობილიდან ავიდა ჰაერში, ხოლო შემდეგ ნარნარით დაეშვა იმავე სატვირთო ავტომობილზე.

აი საფრენოსნო მინდორს უახლოვდება შვიდი ვერტმფრინავი. სიმაღლეა 50 მეტრი. მანქანები ძირს ეშვებიან, ჰაერში დაეკიდებიან და კაბინებიდან ტრაპებზე ჩამოდიან ქალაშვილები. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი ტაშის გრიალში გადასცემენ ყვავილთა თაიგულებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

დღესასწაული გრძელდება. ყველას უსარდღეგებას იპყრობს გამაყრუებელი გრიალი და სტვენა მიწაზე, რამდენიმე წუთი და ჰაერში ჩნდება რაღაც უნახავი კონსტრუქცია. ეს არის „მფრინავი მაგიდა“, რომელსაც არც ფრთები აქვს, არც ხრახნები და არც საჭე. მისი რაკეტული ძრავა მილის სახით დამონტაჟებულია ოთხფეხიან სპეციალურ სტენდზე.

აკრობატული პილოტაჟი სასპორტო თვითმფრინავებით უჭვენეს საბჭოთა, რუმინელმა და ჩეხოსლოვაკმა მფრინავებმა.

საჰაერო დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო ავიაციის უახლესმა თვითმფრინავებმა. გაიფრინა უზარმაზარმა სამგზავრო თვითმფრინავმა „ტუ-114“, რომელიც აგებულია ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ა. ნ. ტუპოლევის კონსტრუქციით. ამ მანქანაზეა ოთხი ტურბრახნიანი ძრავა. მას შეუძლია ერთბაშად გადაიყვანოს 220 კაცი და 9 საათში ძირს დაუშვებლად გაიაროს მანძილი მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე, ან პეკინამდე.

ბევრი საინტერესო რამ იყო აგრეთვე დღესასწაულის საპარაშუტო განყოფილებაში. შეკრებილნი ძლიგს ასწრებდნენ თვალი ედევნებინათ ერთი პარაშუტისტის გადმოხტომისათვის, რომ უკვე შემდეგ ნომერს აჩვენებდნენ. პარაშუტისტები ჰაერში უკიდებდნენ კვამლის კოშებს, რომლებიც ფერადი კვამლით უჭვენებდნენ მათი სწრაფი ძირსდაშვების ტრასს. მაყურებლები აღტაცებაში მოიყვანა ჩვენი სამშობლოს, აგრეთვე ბულგარეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის პარაშუტისტების მამაცობამ, გამბედაობამ და ოსტატობამ. დასასრულს რამდენიმე ასეული პარაშუტისტი გადმოხტა 36 საჰაერო ხომალდიდან. ცა აბრელდა ლურჯი, მწვანე, წითელი, თეთრი ზოლებიანი გუმბათებით.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავმა დღესასწაულმა ტუშინოს აეროდრომზე დამაჯერებლად ცხადყო, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი ავიაცია, გაიზარდნენ მფრინავების, პლანერისტების, პარაშუტისტების, მუშაების, ინჟინრების, კონსტრუქტორების შესანიშნავი კადრები.

საბჭოთა ავიატორები — სოციალისტური სამშობლოს პატრიოტები კვლავაც იქნებიან მათს წინაშე დასახული ამოცანების სიმაღლეზე, ღირსეულად გაამართლებენ პარტიის, ხალხის ნდობას. (საკდესი).

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲘ: საავიაციო ზეიმი სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად სსრ კავშირის გ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის აეროდრომზე ტუშინოში.

ფოტო ა. ბატანოვისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შავი მეტალურგიის განვითარებაში მოპოვებული მიღწევებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა შავი მეტალურგიის მუშათა, ხელმძღვანელთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკთა დიდი ჯგუფისულ დაჯილდოებულია 4.996 კაცი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 495 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 1.391, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 1.885 კაცი.

შავი მეტალურგიის 180 მუშაკს, რომლებმაც განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს, მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება. საქართველოს სს რესპუბლიკიდან სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს უფროს ოსტატს ვ. კობერიძეს, „ჟიათურმარგანეცის“ სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მნგრეველს ტ. ფოფხაძეს და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობი საამქროს ცვლის უფროსს ბ. მელქაძეს.

ვ. ბ. კობერიძე

ბ. ს. მელქაძე



ტ. ვ. ფოფხაძე

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

21 ივლისს ნაშუადღევს მოსკოვში ჩამოვიდა ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ფედერალური კანცლერი დოქტორი იოლეუს რააბი.

დელეგაციაში შედიან ვიცე-კანცლერი დოქტორი ბრუნო პეტერმანი, საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი დოქტორი ლეოპოლდ ფიგლი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი დოქტორი ბრუნო კრეისკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ჯენერალური მდივანი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დოქტორი მარტინ ფუქსი და სხვები.

ავსტრიელი სტუმრების შესახვედრად ვნუკოვოს აეროდრომზე მოვიდნენ მოსკოვის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების წარმომადგენლნი.

17 საათისა და 30 წუთისათვის აქ მოვიდნენ ამხანაგები ა. ი. მიკოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

ჩამოსულთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ფედერალურმა კანცლერმა ბ-ნმა იოლეუს რააბმა. (საკდესი).

შავი მეტალურგიის მუშაკთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

შავი მეტალურგიის განვითარებაში მიღწეული წარმატებისათვის შავი მეტალურგიის მუშების, ხელმძღვანელებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაჯილდოვა:

ლენინის ორდენით

1. **ბულგაკოვი** პავლე პეტრეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს დგანის უფროსი ოსტატი.

2. **გოგსაძე** კარპე იაკობის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მებიგე

3. **გომელაური** ნიკოლოზ გიორგის-ძე — საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

4. **კიკალეიძე** ივანე გრიგოლის-ძე — საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსი.

5. **კოვზირიძე** ივანე კონსტანტინეს-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საღნობი საამქროს უფროსი მდნობელი.

6. **ნადირაძე** კარპეზ კონსტანტინეს-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის „ახალი ითხვისის“ მაღაროთსამმართველოს მბურღავი.

7. **ფანცულაია** ამირან სოლომონის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე.

8. **ჭილლაძე** ალექსანდრე სილოვანის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს ჩასატვირთავი მანქანის მემანქანე.

9. **შარაძენიძე** სოლომონ ავთანდილის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი.

10. **შუბითიძე** შოთა ტრიფონის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე.

ზრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ბარაბაძე** პავლე გიორგის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოების ხარატი.

2. **ბარბაქაძე** ალექსანდრე მარკოზის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ელმავლის მემანქანე.

3. **ბენიძე** ნინო მიხეილის ასული — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს დგანის ოპერატორი.

4. **გაბრიჩიძე** კონსტანტინე სიმონის-ძე — საქართველოს მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი.

5. **გელაშვილი** შოთა ილიას-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ფასონურ-სამსხმელო საამქროს მეფოლადე.

6. **გზირიშვილი** არჩილ პეტრეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საგლინი საამქროს უფროსი ოპერატორი.

7. **გოლეთიანი** ცაცა ლავრენტის ასული — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის რკინაგზის საამქროს ორთქლმავლის მემანქანე.

8. **გუნციკიძე** იოსებ გიორგის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს პირველი მებრძმედე.

9. **დვალიშვილი** ანდრია შალვას-ძე — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს სატვირთავი მანქანის მემანქანე.

10. **ძაგანია** დრუნუ ნიკოლოზის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინი საამქროს დგანის ოსტატი.

11. **დიაკონიძე** გრიგოლ სიმონის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საღნობი საამქროს ცვლის უფროსი.

12. **კახნიაშვილი** ოღლა ანტონის ასული — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს გამამდიდრებელი ფაბრიკის ცხავის მემანქანე.

13. **მეტრეველი** ილია ნიკოლოზის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საგლინი საამქროს უფროსი ოპერატორი.

14. **მიქავა** ვალიკო იოსების-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ჩამტვირთავი მანქანის მემანქანე.

15. **მიქელაძე** გივი შალვას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

16. **მიტასოვი** ვასილ ივანეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინერი.

17. **მონასელიძე** რევაზ მიხეილის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის უფროსი.

18. **ფალავანდიშვილი** დიმიტრი ალექსანდრეს-ძე — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს უბნის უფროსი.

19. **ფერაძე** მიხეილ ანტონის-ძე—ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საღნობი საამქროს მდნობელი.

20. **ბლესეინა** ნინო დიმიტრის ასული — საქართველოს მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო დამპროექტებელი ინსტიტუტის ინსტრუქტორთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

21. **თავაძე** ფერდინანდ ნესტორის-ძე—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი.

22. **ჭაბაშვილი** ვლადიმერ გაბრიელის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე.

23. **შათირიშვილი** გიორგი ათანასეს-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი.

24. **შეყლაშვილი** შალვა სპირიდონის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის მმართველი.

25. **იაკობიძე** სპირიდონ ანთიმოზის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის „ახალი ითხვისის“ მაღაროთსამმართველოს სასკრეპერო დანადგარის მემანქანე.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **აკიმენკო** გლებ ვლადიმერის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოქსქიმიური საამქროს უფროსის თანაშემწე.

2. **ასათიანი** გრიგოლ ნესტორის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის „ახალი ითხვისის“ მაღაროთსამმართველოს დირექტორი.

3. **ბარბაძე** გრიგოლ ნიკოლოზის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის კაპიტალური შენებლობის სამმართველოს მეარმატურე.

4. **ბასილაშვილი** გიორგი იოველის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის სამანქანო საამქროს უფროსი მემანქანე.

5. **ბიწაძე** უშანგი ილარიონის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ელექტრომავლის მემანქანე.

6. **ბრეგვაძე** ლევან სამსონის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საღნობი საამქროს ოსტატი.

7. **ვიშნიაკოვი** ივანე დიმიტრის-ძე — რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

8. **გველესიანი** პახომ სამსონის-ძე — საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო განყოფილების უფროსი ინჟინერი.

9. **გიგიბერია** ვაჟა კონსტანტინეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს უფროსი ოსტატი.

10. **გოცაძე** ვლადიმერ დავითის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ვოროშილოვის სახელობის მაღაროთსამმართველოს ამფეთქებელი.

11. **გოშხოთელიანი** ლევან ვარლამის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის მთავარი ინჟინერი.

12. **დარასელია** ლეონტი ვასილის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსი მვალცავი.

13. **ჯაჯანიძე** ავთანდილ მიხეილის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს უფროსი ოპერატორი.

14. **კისელიოვი** მიხეილ მიხეილის-ძე — საქართველოს მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი.

15. **კოჩერგა** ვასილ პანკრატის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის წვრილსორტოვანი საამქროს უფროსი მვალცავი.

16. **ჭურდიანი** გიორგი პეტრეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს უფროსი.

17. **კურტანიძე** ემელიანე სევერიანეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსი მვალცავი.

18. **ლეჟავა** კარლო ილიას-ძე—სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს უფროსი.

19. **ლუტიძე** ნიკოლოზ პაველეს-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საამქროს მეაპარატე.

20. **მდივანი** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საღნობი საამქროს უფროსი მდნობელი.

21. **მელაძე** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარი ინჟინერი.

22. **მჭედლიძე** თენო ტრიფონის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს უფროსი მეგაზე.

23. **ნავროზაშვილი** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ფასონსამსხმელო საამქროს მეყალიბე.

24. **ნანიტაშვილი** გრიგოლ ლევანტის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საღნობი საამქროს უფროსი მდნობელი.

25. **ნასყიდაშვილი** ლევან ალექსის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს სამსხმელო ორკანის მემანქანე.

26. **ფანცულაია** გიორგი ივანეს-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის საპროექტო განყოფილების უფროსი.

27. **რადჩენკო** გრიგოლ თეოდორეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე.

28. **ხერიდა** ვიქტორ ვიქტორის-ძე — საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

29. **სიხარულიძე** გივი ივანეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის შემკეთებელ-მექანიკური საამქროს ხარატი.

30. **სხირტლაძე** კონსტანტინე ბესარიონის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მიწისქვეშა რკინიგზის ტრანსპორტის მუშა.

31. **თითბერიძე** შოთა ამბროსის-ძე — საქართველოს კომუნისტური პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

32. **წერეთელი** პაველ ალექსანდრეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსი.

33. **ცერცვაძე** კაპიტონ იასონის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ვოროშილოვის სახელობის მაღაროთსამმართველოს მბურღავი.

34. **ჩუბინიძე** ბაგრატ მაქსიმეს-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მბურღავი.

35. **შანიძე** გიორგი ვლადიმერის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის მმართველის მოადგილე.

მედლით „ზრომითი მამაცობისათვის“

1. **აფციაური** თედო შიოს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის წვრილსორტული საამქროს მვალცავი.

2. **ბრეგვაძე** ანდრია კონსტანტინეს-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ელექტრომავლის მემანქანე.

3. **ვდოვენკო** ვასილ ილარიონის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ფასონსამსხმელო საამქროს ფასონსამსხმელი.

4. **გეწაძე** კონსტანტინე ოქროპირის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საღნობი საამქროს მდნობელი.

5. **გოგიძე** ალექსი პლატონის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოქსქიმიური საამქროს მებარელიეტე.

6. **გორდაშვილი** მიხეილ გიორგის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს ღუმელის ოსტატი.

7. **კერვალიძე** ვლადიმერ გერასიმეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საგლინი საამქროს პარტბიუროს მდივანი.

8. **კიპაროიძე** ამბროსი გრიგოლის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მბურღავი.

9. **მაჭავარიანი** დავით გრიგოლის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მნგრეველი.

10. **ოსლამენკო** ლეონიდე სიმონის-ძე — საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველოს მთავარი მგლინავი.

11. **სიორიძე** გიორგი იასონის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საამქროს უფროსი.

12. **ჩაჩავა** გიორგი დომენტის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მეტალურგიული ღუმელების „სარემონტო საამქროს უფროსი ოსტატი.

მედლით „ზრომითი წარჩინებისათვის“

1. **აფციაური** ივანე გიორგის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ფურცელსაგლინავი საამქროს უფროსი შემდუღებელი.

2. **არევაძე** ოთარ იოსების-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საღნობი საამქროს უფროსი მდნობელი.

3. **ვაშაკიძე** მიხეილ მაქსიმეს-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საღნობი საამქროს ოსტატი.

4. **გამეზარდაშვილი** ბენია ივანეს-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საღნობი საამქროს უფროსი მდნობელი.

5. **გურაბანიძე** შოთა კონსტანტინეს-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს მებიგე.

6. **ყაველაშვილი** ამბროსი გიორგის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს მებიგე.

7. **ქემაშვილი** არჩილ ლემონის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს ზეინკალი.

8. **ქუმსიაშვილი** უშანგი ნიკოლოზის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ორთქლ-ძალური მაცივარი დანადგარის ბრიგადირი.

9. **კურცაძე** ვლადიმერ პეტრეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის უფროსი მეცეცხლური.

10. **სუკაჩი** პაველ კონონის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის კაპიტალური შენებლობის სამმართველოს ხუროთმოძღვარი.

11. **თაბაგარი** გერონტი ამბროსის-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს პარტბიუროს მდივანი.

12. **ტოკლიკიშვილი** გიორგი ალექსანდრეს-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს პარტბიუროს მდივანი.

13. **ხანდოლიშვილი** გიორგი ზაქარიას-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის წვრილსორტული საამქროს მვალცავი.

14 **ხუციურაული** პაველ გიორგის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინი საამქროს უფროსი მვალცავი.

15. **წერეთელი** ტარიელ ალექსანდრეს-ძე — ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს სატვირთავი მანქანის მემანქანე.

3. **ვდოვენკო** ვასილ ილარიონის-ძე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

19 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აცნობა შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბ-ნ ა. ცენდერს, რომ საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ინდოეთის მთავრობათა მეთაურებს, შეხვდნენ ერთმანეთს 22 ივლისს ჟენევაში ან რომელიმე სხვა ადგილას იმისათვის, რომ მიიღონ ღონისძიებანი სამხედრო კონფლიქტის შესაწყვეტად ახლო და შუა აღმოსავლეთში.

20 ივლისს ბ-ნმა ცენდერმა აცნობა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ შვეიცარიის ფედერალური საბჭო მზად არის მიიღოს შვეიცარიის ტერიტორიაზე ხსენებული ქვეყნების მთავრობათა მეთაურების კონფერენცია, თუ დაინტერესებული მთავრობები ამის შესახებ შეთანხმდებიან.

ევროპის სახელმწიფოთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება

საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება, რომ ევროპის სახელმწიფოებმა, აგრეთვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დადონ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ამ წინადადებას შეიცავს იდეალური შინაარსის ნოტა, რომელიც გაეგზავნა ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს. საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებმა, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, თუ მათ ყველას სურს შეაჩეროს მოვლენების საშიში განვითარება ევროპაში, უნდა მიიღონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ შეიმუშაონ რეგიონალურ საფუძველზე საერთო ევროპის გადაწყვეტილებანი, რომლებიც პრაქტიკულად განსახორციელებელია უკვე ახლანდელ ეტაპზე და შეიძლება მისაღები აღმოჩნდეს ყველა მთავრობისათვის.

ხელშეკრულების ტექსტში, რომლის პროექტი ქვეყნდება ნოტასთან ერთად, საბჭოთა მთავრობის აზრით, საჭიროა შეტანილ იქნეს დებულებანი, რომელთა მიზანია ევროპაში აგრესიის თავიდან აცილება და მისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ევროპის ყველა სახელმწიფოს უშიშროების განმტკიცება. საჭირო იქნება, რომ ევროპის სახელმწიფოებმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვალდებულება იკისრონ არ გაუწიონ სამხედრო და ეკონომიური დახმარება ან მორალური მხარდაჭერა, რომელიმე სახელმწიფოს, რომელიც დაარღვევს მშვიდობას ევროპაში, მიუხედავად იმისა, არის იგი თუ არა აგრესორი სახელმწიფოს პარტნიორი მოქმედი სამხედრო პაქტებისა და ხელშეკრულებათა მიხედვით. ასეთი შეთანხმების იდეა არაერთგზის გამოთქმულა უკანასკნელ წლებში, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მიერ.

არის წინადადება გათვალისწინებულ იქნეს ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ გამალებული შეიარაღების შემცირებას და ღონისძიებათა განხორციელებას ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ნატოს ჯარების შესამცირებლად. ევროპის სახელმწიფოთა ინიციატივა ასეთ ნაწილობრივ გადაწყვეტილებათა ძებნაში, ნათქვამია ნოტაში, პერსპექტივას შეუქმნიდა განიარაღების პრობლემასთან დაკავშირებულ უფრო ფართო შეთანხმებებსაც.

ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებულია შეიქმნას ევროპაში უატომო ზონა. იგი უნდა მდებარეობდეს უშუალოდ იმ ხაზის ახლოს, რომელიც ყოფს ევროპაში არსებულ სამხედრო დაჯგუფებებს. ხელშეკრულების მონაწილეებმა უნდა იკისრონ ვალდებულება პატივი სცენ აღნიშნული ზონის სტატუსს და ამ ზონაში შემავალ სახელმწიფოთა ტერიტორია მიიჩნიონ ატომგულის იარაღის გამოყენების სფეროდან გამორიცხულად.

სსრ კავშირის მთავრობა წინადადებას იძლევა გათვალისწინებულ იქნეს უახლოეს ერთ-ორ წელიწადში გერმანიაში უცხოეთის ჯარების რიცხვის მესამედით ან სხვა შეთანხმებული ოდენობით შემცირება, შეთანხმება დაიდოს ამ ვალდებულების შესრულებისადმი კონტროლისა და ინსპექციის სისტემის შექმნის შესახებ. საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს აეროფოტოგადაღების წარმოებას რვასკილომეტრიანი ზონის ფარგლებში, რომელიც მდებარეობს ვარშავის ხელშეკრულებისა და ნატოს მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების გამყოფი ხაზის ორივე მხარეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოულოდნელი თავდასხმა.

ხელშეკრულების მუხლები ითვალისწინებენ ურთიერთსასარგებლო და თანასწორუფლებიანი ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებას ისეთ საფუძველზე, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ დისკრიმინაციას და ყოველი სახეობის ხელოვნურ შეზღუდვას.

სსრ კავშირის მთავრობას საურველად მიაჩნია ნათქვამი იყოს ხელშეკრულებაში, რომ მისი მონაწილენი მზად არიან გაუცვალონ ერთმანეთს ატომის ენერგიის მეცნიერული კვლევისა და სარეწველო გამოყენების გამოცდილება, აგრეთვე ნედლეული, მასალები და მოწყობილობა. ხელშეკრულების მონაწილეებს შეუძლიათ უფრო მტკიცე საფუძველზე დამყარონ ერთმანეთთან კონტაქტების განვითარება, განსაკუთრებით მეცნიერებაში, ტექნიკასა და კულტურაში.

თავის წინადადებას სსრ კავშირის მთავრობა ასაბუთებს მისწრაფებით განახორციელოს მეცადინეობა ერთობლივ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომლებიც შეაჩერებენ ევროპის დაცურებას ომისაკენ, მისწრაფებით გამოინახოს მშვიდობის განმტკიცების გზები. ნოტაში ნათქვამია, რომ ორი მსოფლიო ომისაგან დაზარალდნენ უმთავრესად ევროპის ხალხები. და დღეს ამ კონტინენტის ხალხები კვლავ იძულებული არიან იცხოვრონ შიშით კიდევ უფრო საშინელი კატასტროფის წინაშე.

ნოტაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირი აკეთებდა და კვლავაც გააკეთებს ყველაფერს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა აღმოფხვრას ომის საფრთხე და მოგვაროს ნდობაზე დამყარებული მშვიდობიანი თანამშრომლობა ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ნატოს წევრ ქვეყნებს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადება, რომელიც მოითხოვა ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირმა, ხაზგასმით აღნიშნულია ნოტაში, უეჭველია, უდიდეს დადებით როლს შეასრულებდა, მაგრამ ევროპის მშვიდობა და უშიშროება ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუ არ გაერთიანდა ევროპის ყველა სახელმწიფოს ღონისძიებანი და არ დამყარდა მათ შორის ყოველმხრივი თანამშრომლობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი თუ როგორ სრულდება მახარაძის, წითელწყაროსა და ახალციხის რაიონებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმების სრულყოფისათვის გაშლილია სათანადო მუშაობა. 1958 წლის 1 ივლისისათვის მახარაძის რაიონში დამთავრებული იყო ამ წლის გეგმით გათვალისწინებული 34 ობიექტის მშენებლობა, მათ შორის 5 სბავშვო ბაღის, 3 სკოლის, 1 კლუბის, 2 ბიბლიოთეკის, 1 აფთიაქის და სხვ. დამთავრდა 6 სოფლის ელექტროფიკაცია და 2 სოფლის რადიოფიკაცია.

წარმატებით სრულდება სამწლიანი გეგმები წითელწყაროსა და ახალციხის რაიონებში. წითელწყაროს რაიონში დაწყებულია 1958 წლის გეგმით გათვალისწინებული 35 ობიექტის, ხოლო ახალციხის რაიონში 23 ობიექტის მშენებლობა.

აღნიშნულ რაიონებში რაიონული და სასოფლო საბჭოები უნარიანად ხელმძღვანელობენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საქმეს. კოლმეურნეობებში შექმნილია სამშენებლო ბრიგადები, ხოლო მახარაძისა და წითელწყაროს რაიონებში — საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო კანტორები. ბევრი ობიექტი გამოცხადებულია სახალხო მშენებლობად და მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას იღებს მათ მშენებლობაში.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნავს, რომ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საქმეში ყველგან ყველაფერი რიგზე როდია. სამწლიანი გეგმები ზოგიერთ საბჭოში შედგენილია კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის ფართო მონაწილეობის მიუღებლად, რის შედეგად არ არის გათვალისწინებული მოსახლეობისათვის პირველ რიგში საჭირო ობიექტების მშენებლობა. ყველგან როდია სწორად ორგანიზებული მშენებლობა. საშენ მასალათა წარმოების არსებული დონე ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

წითელწყაროს და ახალციხის რაიონებში მთელი რიგი ობიექტების მშენებლობა ჭიანურდება. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი წელი უკვე გავიდა, ახალციხის რაიონში 1958 წლის 1 ივლისისათვის არ იყო დაწყებული ამ წლის გეგმით გათვალისწინებული 3 აბანოს და 7 წყალსადენის მშენებლობა, ხოლო წითელწყაროს რაიონში — 12 ობიექტის მშენებლობა. ზოგიერთი სასოფლო საბჭო ქმედით დახმარებას არ უწევს კოლმეურნეობებს.

განხილულ საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლითაც დაავალა მახარაძის, წითელწყაროს და ახალციხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს აამაღლონ საბჭოების როლი და გადაჭრით გააუმჯობესონ მათი ხელმძღვანელობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საქმეში. ამისათვის მათ პერიოდულად უნდა შეამოწმონ და განიხილონ საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მდგომარეობა და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საქმეში ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმული საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები, აქტივი და მშრომელი მოსახლეობა.

აღნიშნულ საბჭოების აღმასკომებს დაევალათ მოსახლეობისათვის პირველ რიგში საჭირო ობიექტების მშენებლობის განსახორციელებლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიან გეგმებში შეტანან შესწორებანი. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის წარმატებით შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ფართოდ უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებსა, კოლმეურნეობებსა და ბრიგადებს შორის, დაწესდეს გარდამავალი წითელი დროშა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის; სისტემატურად უნდა გაშუქდეს რაიონულ პრესაში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობა, გამოვლინდეს და პოპულარიზაცია გაეწიოს მშენებლობის მოწინავეებს.

ცეკავშირის გამგეობას დაევალა შეიტანოს ცვლილება ამ საკითხზე. ამ ცვლილებით ... ...

ქართველი ჭაბუკები მიემგზავრებიან ყამირ მიწებზე



სურათზე: ყამირზე მოსავლის ასალებად მიმავალი ახალგაზრდობის გაცილება

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ახალგაზრდული ეშელონი ყაზახეთისაკენ მიდის

კვირადღეა. თბილისის სადგურში პლაკატებით, ტრანსპარანტებით, ალისფერი ალმებითა და ნაირფერი თაიგულებით შემკული ეშელონი დგას. ეშელონთან შეკრებილან კომკავშირელები, გეგეჭკორის, ვანის, ამბროლაურის, ქარელის, კასპის, საგარეჯოს, მცხეთის რაიონების, ქალაქების ქუთაისისა და ფოთის ახალგაზრდობა. ისინი დღეს მოძმე ყაზახეთში მიემგზავრებიან მამაც მეყამირეთა დასახმარებლად. არაჩვეულებრივი გამოცოცხლება და ჟრიამულია. ისმის სიმღერები, ზოგან ცეკვა-თამაშიც გაუმართავთ. ჭაბუკებისა და ქალიშვილების სახეზე სიხარული აღბეჭდილა.

— გულთბილად შეგვხვდებიან ყაზახი მეგობრები, — ამბობს ეშელონის უფროსი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ნოდარ ჩხოლარია, — მეყამირეთაგან მრავალი წერილი მივიღეთ; იწერებიან, რომ სიხარულით მიიღლიან ქართველ ახალგაზრდობას. მალე ჩავალთ კუსტანაის ოლქში და გავაჩაღებთ მუშაობას. ერთობლივ შრომაში კიდევ უფრო განმტკიცდება და გამოიწრთობა რუსი, ყაზახი, უკრაინელი, ქართველი და ჩვენი ქვეყნის სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი ახალგაზრდობის მეგობრობა.

— გვინდა, რომ ჩვენი შრომა მშვიდობის საქმეს მოხმარდეს, — განაცხადა საქართველოს ალკკ მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ირა რუხაძემ, — ამ დაძაბულობის წუთებში, როცა ამერიკელი და ინგლისელი აგრესორები ცდილობენ ფეხქვეშ გათელონ არაბი ხალხის ეროვნული უფლებები და კვლავ დაადგან მათ კოლონიალიზმის უღელი, — ქართველი ახალგაზრდობის ხმა უერთდება მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის მოთხოვნას: შეწყდეს ლიბანისა და იორდანიის საშინაო საქმეებში აგრესორთა ხელების ფათური!

— ვიშრომებთ თავდადებით და ენერგიის დაუზოგავად, — განაგრძო მან, — რათა კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი საყვარელი სამშობლო — მშვიდობის ბურჯი, დიდი საბჭოთა კავშირი. გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენი შრომითი მიღწევები მივუძღვნათ კომკავშირის ორმოცი წლისთავის სახელოვან იუბილეს.

...ახალგაზრდობის ჯგუფების მეთაურები შეიკრიბნენ რესპუბლიკურ შტაბში. მათ უკანასკნელ დარიგებას აძლევს შტაბის ხელმძღვანელი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. თ. ბადურაშვილი.

მალე გაისმა საყვირის ხმა.

ყამირებისაკენ მიმავალი პირველი ეშელონი ნელა დაიძრა სადგურიდან...

— გზა მშვიდობისა! — ისმის გამცილებელთა შეძახილი.

გ. კავკასიძე.

მესამედ მივდივარ...

ყაზახეთს პირველად 1956 წელს ვეს-ტუმრე და მუშაობა დავიწყე კომბაინერად. ჩემი კომბაინით მოსავალი ავიღე 650 ჰექტარზე და პირველი ადგილი მოვიპოვე მთელ ოლქში. კარგი მიღწევებისათვის მივიღე მთავრობის ჯილდო — გავხდი სასოფლო-სამეურნეო გამოფენისა და მოსკოვში, კრემლში გამართული მოწინავე მეყამირეთა თათბირის მონაწილე.

1957 წელს მუშაობა გავაორმაგე — დღისით კომბაინზე ვმუშაობდი, ღამით კი ტრაქტორზე. ამგვარად შეწყობილი მუშაობით მივაღწიე იმას, რომ 50 დღეში 815 შრომადღე გამოვიმუშავე.

ყამირზე ლაშქრობის მესამე წელს დიდი სიხარულით ვხვდები. შარშან ჩემს შესახებ გაზეთებში წერდნენ, თითქოს მე ვიყავი „ყამირების გმირი". შევეცდები წელს გავამართლო ეს სახელი.

რ. აივაზოვი,
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი.

ვიმუშავებ მთელი ძალითა და ენერგიით

ვმუშაობ თბილისის საორთქლმავლო დეპოში ზეინკლად. ყოველდღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ვასრულებ. ჩვენი ახალგაზრდობის შრომითმა მონაწილეობამ ყამირზე ჩემშიც დიდი დაინტერესება გამოიწვია. კომკავშირის რაიკომში შევიტანე განცხადება და ვითხოვე ყამირ მიწებზე სამუშაოდ მოხალისედ გაგზავნა.

ვფიქრობ, ყაზახეთში ვიმუშაო კომბაინების, ტრაქტორების შეკეთებაზე, დავეხმარო მეყამირეებს, რომ არცერთი აგრეგატი არ მოცდეს. გამოცდილებით ვიცი, რომ მანქანების შეუფერხებელ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღება.

მეც არ დავიშურებ ძალასა და ენერგიას. იმედი მაქვს გეგმებს ყამირზეც გადაჭარბებით შევასრულებ.

ს. ბარნაბიშვილი,
თბილისის საორთქლმავლო დეპოს ზეინკალი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მეჯი სერიოზულობით მოვეკიდოთ პოპულარული ბროშურების გამოცემას

1957 წელს საქმედგამმა გამოსცა დოც. ტ. გუნჯუას პოპულარული ბროშურა „ატომური ენერგია და მისი გამოყენება მშვიდობიანი მიზნით".

სარეცენზიო წიგნი შეიცავს 75 გვერდს და შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში განხილულია ატომური ენერგიის აღმოჩენის ზოგადი საკითხები და აღწერილია მისი ფიზიკური მხარე, ხოლო მეორე ნაწილში დახასიათებულია ტექნიკაში, სოფლის მეურნეობაში, ბიოლოგიასა და მედიცინაში ამ ენერგიის გამოყენების შესაძლებლობანი. მეორე ნაწილი მკითხველს გარკვეულ სარგებლობას მოუტანს და შეუქმნის ერთგვარ წარმოდგენას ატომური ენერგიის გამოყენების პერსპექტივებზე. ამასვე ვერ ვიტყვით წიგნის პირველ ნაწილზე. აქ ავტორის მიერ ფიზიკური მხარე ბევრ შემთხვევაში არასწორად არის გაშუქებული.

მე-19 გვერდზე ავტორი აცხადებს, რომ ამა თუ იმ სხეულის მოძრაობის დროს ყოველთვის გამოიყოფა ენერგია. გაუგებარია, საიდან დაასკვნის ავტორი, რომ ენერგია ყოველთვის გამოიყოფა, რატომ არ შეიძლება, რომ ენერგია კი არ გამოიყოს, არამედ შთაინთქას. მაგალითად, როდესაც სხეული დედამიწის სიმძიმის არეში მოძრაობს ვერტიკალურად ზევით, მაშინ ის კი არ გამოჰყოფს ენერგიას, არამედ შთანთქამს.

ის უმნიშვნელოვანესი ცდა, რომლის შედეგადაც მეცნიერებამ დაასკვნა ატომბირთვის არსებობა, წიგნში არაზუსტად არის გადმოცემული. იმ ფაქტიდან, რომ ნაწილაკების უმრავლესობა ძალიან მცირედ გადაიხარა თავისი პირვანდელი მიმართულებიდან, გამომდინარეობს, დაასკვნის ავტორი, რომ ატომში არსებობს რაღაც მცირე ნაწილი, რომელიც ეღობება ნაწილაკებს. სინამდვილეში კი ცნობილია, რომ ატომში ბირთვის არსებობა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ რეზერფორდის ცდაში ზოგიერთი ნაწილაკი ძალიან მკვეთრად გადაიხრება პირვანდელი მიმართულებიდან და უკან ბრუნდება.

მე-16 გვერდზე ნათქვამია, რომ თითქმის ყველა ატომი შედგება ბირთვისა და ელექტრონებისაგან. რათ დასჭირდა ავტორს სიტყვა „თითქმის", განა არსებობენ ისეთი ატომები, რომლებიც ბირთვებს არ შეიცავენ?

წიგნის ყველაზე დიდ ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მასში არასწორად არის გაშუქებული თვით ატომური ენერგიის ბუნება. ჯერ-ერთი, ავტორი ცდება, როცა აცხადებს, რომ ატომგულური რეაქციების დროს ყოველთვის გამოიყოფა ენერგია. სინამდვილეში კი ცნობილია, რომ ბევრი ბირთვული რეაქცია წარიმართება ენერგიის შთანთქმით და არა გამოყოფით. მეორე, ავტორი არაფერს არ ამბობს მასისა და ენერგიის ეკვივალენტობაზე. ცნობილია, რომ ამ ფაქტის გაუთვალისწინებლად ატომის ენერგიის ბუნებისა და იმ ცვლილებების გაგება, რომლებსაც ატომბირთვი ენერგიის გამოყოფის დროს განიცდის, შეუძლებელია. მესამე და მთავარი, ავტორს ჰგონია, რომ ატომის ენერგია სითბური ენერგიაა. აი რას წერს ავტორი 42-ე გვერდზე: „სითბო, რომელიც ასეთ რეაქტორში ატომბირთვების გაყოფის შედეგად **განთავისუფლდება** (ხაზი ჩვენია — ვ. მ.). შეიძლება გამოვიყენოთ და ა. შ." ასეთი შეცდომა წიგნის ავტორს არ ეპატიება.

ჩვენ სადავოდ მიგვაჩნია, რამდენად მიზანშეწონილია ასეთ ბროშურას თან ერთოდეს მრავალ ფიზიკურ სიდიდეთა ცხრილები. სამწუხაროდ, აქაც თანამედროვე ფიზიკის ძირითადი ერთეული — ელექტრონვოლტი — სრულიად გაუგებრად არის განმარტებული. სარეცენზიო წიგნი სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს. წიგნის რედაქტორი მ. მირიაშვილი მეტი ყურადღებით და პასუხისმგებლობით რომ მოჰკიდებოდა თავის მოვალეობას, ასეთი შეცდომები შეიძლებოდა თავიდან ყოფილიყო აცილებული.

ვ. მამასახლისოვი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, პროფესორი.

პოლონელი ხალხის ეროვნული დღესასწაული

პოლონეთის განთავისუფლების მე-14 წლისთავის გამო

22 ივლისი თვითეული პოლონელისა და მთელი პოლონელი ხალხისათვის დაუვიწყარი თარიღია, რომელიც მათ ახსენებს იმ ბედნიერ დღეს, როცა ომის საშინელებათა და ჰიტლერული ოკუპაციის კოშმარის შემდეგ, ფაშიზმის წინააღმდეგ სისხლისმღვრელი ბრძოლის გმირული, მაგრამ ამასთანავე საშინელი წლების შემდეგ ჩვენ, ბოლოს, მოვიპოვეთ ნანატრი თავისუფლება.

წინ მიდევს დოკუმენტი, რომელსაც მცირე მნიშვნელობა როდი აქვს ჩვენი ხალხის ისტორიისათვის — პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის მანიფესტი, გამოცემული ქალაქ ბელმში 1944 წლის 22 ივლისს.

პირველი მისი სიტყვები ასეთია: „თანამემამულენო! დადგა განთავისუფლების ჟამი. პოლონეთის ლაშქარმა წითელ არმიასთან ერთად გადმოლახა ბუგი. პოლონელი ჯარისკაცი ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალზე იბრძვის. ტანჯული პოლონეთის თავზე კვლავ ფრიალებს თეთრ-წითელი დროშები".

ეს დოკუმენტი ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, თუ ვის, ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს რა ძალებს უნდა ვუმადლოდეთ ყველაზე ძვირფას სიკეთეს, რომლითაც ადამიანი დედამიწაზე სარგებლობს,— თავისუფლებას.

ჩვენს ხალხს პირველი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მიაჩნია თანამედროვე კაცობრიობის ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად, ხოლო სოციალიზმის მშენებელ ხალხთა მთელი ბანაკი მას მიაჩნია თავისი პატრიოტული მიზნების დიად მოკავშირედ. იგი მოკავშირეებს ხედავს ყველგან, სადაც ადამიანი უკვე განთავისუფლდა ან ტანჯვით თავისუფლდება საუკუნეობრივი ეროვნული და სოციალური მონობისაგან, ხმამაღლა მოითხოვს მშვიდობას, სამუშაოსა და პურს მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

იმ დიდმა გამარჯვებამ უკანასკნელ ომში, რაც მოიპოვა საბჭოთა კავშირმა, რომელმაც მტაცებლური რეაქციული ფაშიზმი გაანადგურა, პოლონელ ხალხს თავისუფლებასთან და მის თანმხლებ სოციალურ გარდაქმნებთან ერთად მოუტანა ძველისძველ ეროვნულ მისწრაფებათა შესრულება. მან დაგვიბრუნა ისტორიული საზღვრები, დაგვიბრუნა აგრესორების მიერ ოდესღაც მიტაცებული ჩვენი დასავლეთი მიწები.

ისტორიული სამართლიანობის ამ აქტის წინააღმდეგ სულ უფრო თავხედურად გამოდიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტული წრეები. ჩვენთვის ცნობილი არიან ეს წრეებიც და მათი გავლენიანი მფარველებიც. ჩვენთვის ცნობილია სახელები დამნაშავე ჰიტლერელი გენერლებისა, რომლებიც სულ უფრო თვალსაჩინო როლს ასრულებენ ნატოში. ჩვენ კარგად გვესმის ის საშიშროებაც, რომელიც იქიდან ჩვენს ხალხს ემუქრება. ჩვენ მშვენივრად გვესმის, რას ნიშნავს ჩვენთვის დასავლეთ გერმანიის არმიის აღჭურვა ატომური იარაღით. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ვიცით, რომ ამ საშიშ სიტუაციაში ჩვენ გვყავს მძლავრი, ერთგული მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და ჩვენი მოკავშირე სხვა სოციალისტური ხალხების სახით, აგრეთვე მსოფლიოს ყველა იმ ადამიანთა სახით, რომლებისთვისაც ძვირფასია სამართლიანობა და თავისუფლება.

რა კავშირი აქვს ამას 22 ივლისის დღესთან? უაღრესად უშუალო.

პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის მანიფესტში ვკითხულობთ:

„აღსდექით პოლონეთის თავისუფლებისათვის საბრძოლველად, დედა-სამშობლოსათვის ძველი პოლონური ზღვისპირეთისა და ოპოლიეს სილეზიის, აღმოსავლეთ პრუსიის დაბრუნებისათვის, ზღვაზე ფართო გასასვლელისათვის, ოდერზე პოლონეთის სასაზღვრო ბოძებისათვის საბრძოლველად...

ისტორია და ახლანდელი ომის გამოცდილება გვიჩვენებენ, რომ გერმანული იმპერიალიზმის მოძალების წინაშე ჩვენი დაცვა შეუძლია მხოლოდ დიდი სლავური ზღუდის შექმნას, რომლის საფუძველიც პოლონეთ-საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის შეთანხმება იქნება.

ოთხას წელიწადზე მეტს გრძელდებოდა განუწყვეტელი კონფლიქტები პოლონელებსა და უკრაინელებს შორის, პოლონელებსა და ბელორუსებს შორის, პოლონელებსა და რუსებს შორის, რომელიც ზიანს აყენებდა ორივე მხარეს. ამ მხრივ ახლა ისტორიული შემობრუნება მოხდა. კონფლიქტები ადგილს უთმობენ მეგობრობასა და თანამშრომლობას, რომლებიც ნაკარნახევია ორივე მხარის სასიცოცხლო ინტერესებით. მეგობრობა და საბრძოლო თანამშრომლობა, რომელსაც დასაბამი მისცა პოლონეთის ლაშქრისა და წითელი არმიის იარაღით ძმობამ, უნდა გადაიქცეს მტკიცე კავშირად და კეთილმეზობლურ თანამშრომლობად ომის შემდეგ...“

1944 წლის 22 ივლისს მართლაც მოხდა ისტორიული შემობრუნება, რომელმაც გადაწყვიტა ჩვენი სამშობლოს, და არა მარტო ჩვენი სამშობლოს ბედი.

ჩვენი ხალხი, რომელმაც ეს შემობრუნება მოახდინა, დღეს ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ მისი პატრიოტული ინტერესები ემთხვევა დიადი საბჭოთა ქვეყნის ხალხების და სოციალიზმის მშენებელი სხვა ხალხების ინტერესებს. და სწორედ ეს მიგვაჩნია ჩვენი დამოუკიდებლობისა და ჩვენი სამართლიანი საზღვრების ურყევობის საუკეთესო გარანტიად.

ჩვენს ხალხს სწამს, რომ დიდი მოკავშირე არასოდეს არ დატოვებს მას, რომ ისევე, როგორც დღესაც, იგი მუდამ უზრუნველყოფს ჩვენი საზღვრების მთლიანობას, რომ კავშირი, რომელიც განმტკიცებულია თავისუფლებისათვის ბრძოლის ველებზე ერთად დაღვრილი სისხლით, ურღვევია. ამ რწმენიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ერთგულების — ძმური კავშირისადმი ჩვენი ერთგულების წმიდა მოვალეობა.

22 ივლისი ყოველწლიურად წარმოადგენს შედეგების შეჯამების საბაბს. განა საჭიროა ციფრები მოვიშველიოთ, რათა დავამტკიცოთ, რომ 1944 წლის 22 ივლისის შემდეგ, მიუხედავად ყველა სიძნელისა და დაბრკოლებისა, ჩვენ სულ უფრო ძლიერი ვხდებით?

თუ გავიხსენებთ 1944-1945 წლების პოლონეთის — ნანგრევებისა და ფერფლის, ქაოსისა და საყოველთაო გაჭირვების ქვეყნის — სურათს და შევადარებთ მას დღევანდელი პოლონეთის სურათს, მიუხედავად მთელი რიგი შესაძლო შენიშვნებისა, რომლებიც დღევანდელ დღეს ეხება, არ შეიძლება არ ვამაყობდეთ იმით, რაც უკვე გავაკეთეთ. ეს სახალხო სახელმწიფოს მომავალი აყვავების მკვიდრი საძირკველია, ჩვენი ხვალინდელი კეთილდღეობისა და ძლიერების საძირკველია.

„გაპარტახებული და დამშეული ქვეყანა, — კითხულობდით პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის მანიფესტში — 14 წლის წინათ, — მთელი ხალხის დიად შემოქმედებითს ღონისძიებებს მოელის“.

ასეთი ღონისძიებებისათვის დარაზმა ხალხის ენერგია პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ, გაიყოლია ხალხის საუკეთესო შვილები, ხალხის პატრიოტული ნასები.

განა უამისოდ მოვახერხებდით ნანგრევებიდან აღგვედგინა ჩვენი ქალაქები, დაგვებრუნებინა მათთვის სისხლსავსე ცხოვრება, ხელახლა ჩაგვეყენებინა მწყობრში დანგრეული შახტები და ქარხნები, ფაბრიკები და ნავსადგურები, აგვეშენებინა ასობით ახალი მსხვილი საწარმო, მცირე ხნის განმავლობაში გადაგვეტანა ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა ევროპის ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ?

ჩვენს ხალხს მშვიდობა სწყურია.

ეს არის კიდევ ერთ-ერთი არსებითი მიზეზი, თუ რატომ ვართ ჩვენ დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან და მთელ სოციალისტურ ბანაკთან. საბჭოთა კავშირის, მთელი სოციალისტური ბანაკის სამშვიდობო პოლიტიკა ჩვენი ხალხის სისხლხორცეულ ინტერესებსაც შეესაბამება. იმისათვის, რომ განვახორციელოთ პოლონეთში ცხოვრების გარდაქმნის დიადი გეგმები, რომლებიც უშუალოდ წარმოიშვნენ პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის მანიფესტის პროგრამიდან, რომლებიც გამომდინარეობენ ჩვენი წყობილების საფუძვლებიდან, — ჩვენ გვესაჭიროება მშვიდობა, ისევე როგორც სოციალიზმის მშენებელ ყველა ხალხს, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელებს.

ამიტომ საერთაშორისო ასპარეზზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა მხურვალე მომხრეა სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობისა, მათი საზოგადოებრივი წყობილების განსხვავების მიუხედავად. ამიტომ ჩვენი მთავრობა და მასთან ერთად მთელი ხალხი ეძებენ პლატფორმას სხვა ქვეყნებთან შეთანხმებისათვის, მხურვალედ უჭერენ მხარს ყოველ სამშვიდობო მისწრაფებას, მოითხოვენ საზღვარი დაედოს უგუნურ გამალებულ შეიარაღებას, კატეგორიულად ილაშქრებენ მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოების წინააღმდეგ, მხარს უჭერენ იმას, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომური და წყალბადის ბომბების გამოცდა.



ახალი ვარშავის ხედი.

★ ★ ★

ჩვენი მწარე გამოცდილების გამო განსაკუთრებული შეშფოთებით ვეკიდებით დანაშაულებრივ ტენდენციას — ატომური იარაღი გადასცეს ყოფილი ჰიტლერელი გენერლების განკარგულებაში, მიგვაჩნია ეს არა მარტო სერიოზულ საფრთხედ ჩვენთვის, არამედ საფრთხედ ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისთვისაც.

ჩვენ მხურვალე პროტესტს ვაცხადებთ ასეთი ტენდენციების წინააღმდეგ და მშვიდობისმოყვარე ხალხების ყურადღებას მივაპყრობთ ამ საფრთხეს. ჩვენ გვსურს თავიდან ავიცილოთ ეს საფრთხე და ამიტომ წამოვაყენეთ წინადადება შეიქმნას უატომო ზონა ევროპის ცენტრში. ეს წინადადება ფართოდ ცნობილია რაპაცკის გეგმის სახელწოდებით.

მაგრამ ცდება ის, ვისაც მიაჩნია, რომ, რაკი ჩვენ შეთანხმების გზებს ვეძებთ, რაკი სავსებით გულწრფელად მოვუწოდებთ მშვიდობისაკენ და ვმუშაობთ მშვიდობის საქმისათვის, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეიძლება დათმობაზე წავიდეთ გერმანელი რევანშისტების ან რომელიმე სხვა იმპერიალისტური წრეების ატომური შანტაჟის წინაშე.

პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის ისტორიული მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ განვლილ 14 წელიწადში, ვახორციელებთ რა მის მიერ გამოცხადებულ პროგრამას, ჩვენ შევქმენით ფართო საფუძვლები ჩვენი ხალხის მდიდარი, კულტურული ცხოვრებისათვის.

წინათ ჩვენში არასოდეს არ ყოფილა იმდენი უმაღლესი სასწავლებელი, სკოლა, კულტურული დაწესებულება, თეატრი, ფილარმონია, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, რამდენიც დღეს გვაქვს. და მაინც ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ კმარა სოციალიზმის იდეებით გაღვიძებული ხალხის სულიერ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის. ამიტომ ჩვენ ახლაც და მომავალშიც კვლავ ვაშენებთ სკოლებს, თეატრებს, კინოებს, ფილარმონიებს, შევქმნით ბიბლიოთეკებსა და ახალ სამხატვრო კოლექტივებს, სულ უფრო მეტს დავუბეჭდავთ ძვირფას წიგნებს.

ბისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველმყოფელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენენ. ჩვენ აღვზარდეთ ახალი ტიპის ჯარისკაცი-პატრიოტი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ამოცანები, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის დამცველია, ჯარისკაცი, რომელისთვისაც უცხოა ფიქრი სხვა ხალხების მშვიდობიანი შრომის დარღვევის შესახებ, მაგრამ რომელიც ამავე დროს მზად არის წარმატებით დაიცვას საკუთარი თავისუფლება და კარგად არის მომზადებული ამ როლისათვის.

და ასეთ ჯარისკაცს ჩვენ გადავცემთ იმათ განკარგულებაში, ვისთვისაც მთელ მსოფლიოში მშვიდობა და ხალხთა თავისუფლება, ადამიანის ბედნიერებისათვის და კაცობრიობის მომავლისათვის შრომა ყველაზე ძვირფასი საუნჯეა. ასე გვესმის ჩვენი მონაწილეობა ვარშავის ხელშეკრულებაში — ჩვენი შეიარაღებული კავშირი სოციალისტურ ხალხებთან.

მაგრამ პოლონეთის სამხედრო მიღწევები — ეს ნათლად უნდა ვთქვათ აქ — ერთადერთი ჩვენი მიღწევებია, რომლებზეც ყოველთვის მზად ვართ დაუნანებლად ავიღოთ ხელი, თუ მიღწეულ იქნება შეთანხმება საყოველთაო განიარაღების შესახებ, რომელსაც პოლონელი ხალხიც მოითხოვს.

სამაგიეროდ ჩვენ არასოდეს არ ვიტყვით უარს ჩვენს ოდერისა და ნოისეს საზღვრებზე, იმ საზღვრებში თავისუფლების განვითარების უფლებაზე, რომლებიც ისტორიამ მოგვანიჭა და რომლებიც ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილთა სისხლის ფასად მოვიპოვეთ.

ჩვენ არასოდეს არ ვიტყვით უარს იმ უფლებაზე, რომ ჩვენს ბედს განვაგებდეთ. ჩვენ ავირჩიეთ სოციალიზმის გზა, და ვერავინ და ვერაფერი ვერ გადაგვახვევინებს ამ გზიდან. თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის ერთგულ სხვა ხალხებთან ერთად ჩვენ ვიგლეთ ამ გზით კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

სტანისლავ რიშარდ დობროვოლსკი.
პოლონელი მწერალი.
ქ. ვარშავა.



პოლონეთი. გდინია. გემთმშენებელი ვერფი.

უცხოეთის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის გამო

ლიბანი

ბეირუთი, 20 ივლისი. (საკდესი). ლიბანის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა შინაარსი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილისა ამერიკის შეერთებული შტატებისა, ინგლისის, საფრანგეთისა და ინდოეთის მთავრობათა მეთაურებისადმი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი წინადადებით, რომ მოწვეულ იქნას თათბირი, რათა მოწესრიგდეს ახლო და შუა აღმოსავლეთში დაწყებული სამხედრო კონფლიქტი. ბეირუთის რადიომ გადასცა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შინაარსი.

ინგლისი

ლონდონი, 20 ივლისი. (საკდესი). როგორც პრეს ასოშიეიშნის საგენტო აღნიშნავს, პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა დღეს კონსულტაციისა და ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის განხილვისათვის გამოიძახა საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ორმსბი-გორი, აგრეთვე კონსულტაცია ჰქონდა ტელეფონით საგარეო საქმეთა მინისტრ ლოიდთან, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება.

პრეს ასოშიეიშნის საგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი კომენტარს უკეთებს წერილს და წერს: „სავსებით ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის მოწოდებას უმაღლეს დონეზე თათბირის მოწყობის შესახებ დიდი მიმზიდველი ძალა აქვს“.

შვეიცარია

სტოკჰოლმი, 20 ივლისი. (საკდესი). შვეიცარიის პრემიერ-მინისტრმა ტაგე ერლანდერმა პასუხად გაზეთ „მორგონტიდინგენის“ თხოვნაზე აზრი გამოეთქვა საბჭოთა მთავრობის წინადადების შესახებ, განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადება უმაღლეს დონეზე თათბირის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ არ უნდა იქნას უარყოფილი.

„მე დიდი ინტერესით გავეცანი ხრუშჩოვის ინიციატივას, — თქვა ერლანდერმა, — და მიმაჩნია იგი ისეთ იდეად, რომელიც ახლანდელ აშკარად სერიოზულ სიტუაციაში არ უნდა იქნას უარყოფილი. წინადადების დიდმნიშვნელოვანი მომენტია ის, — თქვა შემდეგ ერლანდერმა, — რომ საბჭოთა მხარეს საჭიროდ მიაჩნია უაღრესად მჭიდრო კონტაქტი იქონიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, რადგან განზრახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის მონაწილეობა“.

საბჭოთა წინადადებისადმი მიძღვნილ მოწონავე სტატიაში გაზეთი „მორგონტიდინგენი“ აგრეთვე იწონებს საბჭოთა მთავრობის ინიციატივას.

მთელი მსოფლიო, აღნიშნავს გაზეთი, დაძაბული ინტერესით მოელის სხვა დიდი სახელმწიფოების გამოხმაურებას ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადების გამო.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს პასუხი ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე

დელი, 21 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ გამოქვეყნდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს პასუხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის პასუხში, კერძოდ, ნათქვამია: „გმადლობთ თქვენი კეთილი მიწვევისათვის, რომ ინდოეთმა მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოთა მეთაურების თათბირში, რომელსაც თქვენ მოითხოვთ. თუ არის თანხმობა ასეთი თათბირის მოწყობის შესახებ, ძნელი არ უნდა იყოს შესაფერისი ადგილისა და უახლოესი თარიღის დანიშვნა.

ჩვენ სიხარულით შემოგთავაზებთ ჩვენს სამსახურს მშვიდობის ამ მიზნებისათვის, თუ იგი საჭირო იქნება“.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

პრაღა, 20 ივლისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტომ გადასცა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის განცხადება ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიული მოქმედების გამო.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია განცხადებაში, გადაჭრით გმობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის აგრესიას იორდანიის წინააღმდეგ, რომელიც ახალ სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს თავისი შეიარაღებული ჩარევა იორდანიის საშინაო საქმეებში, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ლიბანის საშინაო საქმეებში.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდ ბრიტანეთის მთავრობებმა მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის გაიწვიონ მთელი ჯარის ნაწილები ლიბანიდან და იორდანიიდან და დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ერაყის წინააღმდეგ აგრესიისათვის პროვოკაციული მზადება.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ შეასრულოს თავისი მოვალეობანი, რომელებსაც მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება აკისრებს, და შეწყვიტოს ეს შეიარაღებული ინტერვენცია. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო უმოკლეს ვადაში ვერ შეძლებს ამ თავისი მოვალეობის შესრულებას, ამ შემთხვევაში ჩეხოსლოვაკიის მთავრობა მოითხოვს მოწვეულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რიგგარეშე სესია, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ამ სამარცხვინო ინტერვენციის შეწყვეტისა და ომის საფრთხის შეწყვეტის ქმედითს ღონისძიებათა შესახებ.

არაბთა ქვეყნების ლიგა არ ცნობს არაბთა ფედერაციის არსებობას

კაირო, 20 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „ალ-აჰრამი“ იუწყება, რომ არაბთა ქვეყნების ლიგის სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება აცნობოს ერაყის მთავრობას, რომ არაბთა ქვეყნების ლიგა ალარ ცნობს ეგრეთწოდებული არაბთა ფედერაციის, ე. ი. ერაყსა და იორდანიას შორის ხელოვნურად შექმნილი ფედერალური კავშირის არსებობას. ლიგის სამდივნომ მიიღო ერაყის რესპუბლიკის მთავრობის ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ერაყში მომხდარი რევოლუციის შემდეგ ერაყი არ ცნობს და არ მიაჩნია თავი შებოჭილად ვალდებულებებით, რომელსაც ხელი მოაწერა ყოფილმა მეფემ ფეისალმა, ამ ფედერაციაში ერაყის მონაწილეობის შესახებ და აცხადებს, რომ გამოდის ფედერაციიდან.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ერაყის რესპუბლიკის შეთანხმება

კაირო, 20 ივლისი. (საკდესი). მენის სააგენტო დამასკოდან იუწყება, რომ გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ერაყის რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციები. ერაყის დელეგაციას მეთაურობდა პრემიერის მოადგილე აბდელ სალამ არიფი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დელეგაციას — პრეზიდენტი ნასერი. მოლაპარაკების შედეგად არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და ერაყის რესპუბლიკას შორის დაიდო შემდეგი შეთანხმება:

„1) ორივე მხარე ადასტურებს ვალდებულებებსა და შეთანხმებებს, რომლებითაც ორივე ქვეყანა დაკავშირებულია და უწინარეს ყოვლისა არაბთა ქვეყნების ლიგის წესდებას და არაბთა სახელმწიფოების კოლექტიური უშიშროების პაქტს.

2) ორივე მხარე ადასტურებს ორივე მთავრობის დეკლარაციის მათი მჭიდრო ურთიერთობის შესახებ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში, აგრეთვე მათ გადაწყვეტილებას ერთად გაილაშქრონ ყოველგვარი აგრესიის წინააღმდეგ, რომელსაც ჩაიდენენ ამ ქვეყნების წინააღმდეგ ან რომელიმე მათგანის წინააღმდეგ, და მიიღონ ამასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი.

3) სავსებით ითანამშრომლონ საერთაშორისო საკითხებში ორივე ქვეყნის უფლებათა უზრუნველყოფის მიზნით და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დაცვისა და შუა აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებაში.

4) მიიღონ გადაუდებელი პრაქტიკული ღონისძიებანი ორივე ქვეყნის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განვითარების მიზნით.

5) მუდმივი კონტაქტები და კონსულტაციები იქონიონ ორივე ქვეყანას შორის ყველა საკითხში, რომელიც საინტერესოა თვითეული მათგანისთვის“.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ნასერმა, ერაყის რესპუბლიკის სახელით — პრემიერ-მინისტრის მოადგილემ აბდელ სალამ არიფმა.

იორდანიამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან

ნიუ-იორკი, 20 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ამანდან იუწყება, დღეს იორდანიის ხელისუფლებამ გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან.

თათბირი თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 21 ივლისი. (საკდესი). თეთრ სახლში გუშინ გაიმართა თათბირი, რომელსაც პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გარდა, დესწრნენ ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი, სახელმწიფო მდივანი დალესი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე გერტერი, თავდაცვის მინისტრი მაკელროი, შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარე ტუაინინგი, ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს ხელმძღვანელი ალენ დალესი, აგრეთვე სახელმწიფო დეპარტამენტის მთელი რიგი ექსპერტები და პრეზიდენტის კანცელარიის მუშაკები.

თათბირის დამთავრების შემდეგ თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა ჰეგერტიმ განაცხადა, რომ თათბირის მონაწილეებმა დაწვრილებით განიხილეს ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი უმაღლეს დონეზე თათბირის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ, რათა განახორციელონ ღონისძიებანი ახლო აღმოსავლეთში ინგლის-ამერიკის აგრესიის შესაწყვეტად. ჰეგერტიმ უარი თქვა დაემატებინა რამე იმ განცხადებისათვის, რომელიც თეთრმა სახლმა წინათ გამოაქვეყნა ამ წერილის შესახებ. მან მხოლოდ კვლავ გაიმეორა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კონსულტაციას გამართავენ თავიანთ „მოკავშირეებთან“ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე პასუხის პროექტის შესახებ.

მაროკოს ღიღერის მიმართვა ეიზენჰაუერისადმი

კაირო, 20 ივლისი. (საკდესი). როგორც მენის სააგენტო იუწყება, მაროკოს ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის თავლსაჩინო მოღვაწემ აბდელ კრიმ ჰატიბმა, რომელიც ამჟამად კაიროში იმყოფება, პრეზიდენტ ეიზენჰაუერს გაუგზავნა სპეროტესტო დეპეშა ლიბანში ამერიკის ჯარების ინტერვენციის წინააღმდეგ. დეპეშა შეიცავს მოთხოვნას, რომ ამერიკის მთავრობამ „გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება არაბული ნაციონალიზმისადმი“ და ბოლო მოუღოს მტრულ დამოკიდებულებას არაბთა განმთავისუფლებელი მოძრაობისადმი.

უთანხმოება ნატოში

ოსლო, 20 ივლისი. (საკდესი). ნატოს მონაწილე ქვეყნებს შორის სერიოზული უთანხმოებაა ახლო აღმოსავლეთში ინგლის-ამერიკის ინტერვენციის გამო. ამას პარიზიდან იუწყება გაზეთ „არბეიდერ ბლადეტის“ კორესპონდენტი. როგორც მის ცნობაში აღნიშნულია, „ნატოს წევრ 15 ქვეყანას შორის განხეთქილებაა ახლო აღმოსავლეთის საკითხში“.

„ნატოს შიგნით,—ხაზგასმით არის აღნიშნული ცნობაში,—ძლიერ გავრცელდა ინგლის-ამერიკის მოქმედების კრიტიკა... გარდა ამისა, ახლა სულ უფრო ხშირად გამოთქვამენ აზრს, რომ დასავლეთი უნდა დათანხმდეს დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით არის აზრი, რომ უმაღლეს დონეზე თათბირის საკითხმა ახლო აღმოსავლეთის ამბების შემდეგ შეიძლება სხვა ხასიათი მიიღოს, ვიდრე წინათ ფიქრობდნენ.

ნატოში შემავალი სულ უფრო მეტი ქვეყნისათვის ნათელი ხდება, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების ერთადერთი გადაჭრაა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მიღწევა შეთანხმებისა, რომელშიც ორივე მხარე აღიარებს ამ რაიონის სახელმწიფოთა ნეიტრალიტეტს“.

საპროტესტო დემონსტრაცია ინგლის-ამერიკის ინტერვენციის წინააღმდეგ

ტელ-ავივი, 20 ივლისი. (საკდესი). ტელ-ავივში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობის წინ გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია იმპერიალისტური სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ ლიბანსა და იორდანიაში. დემონსტრაციამ ჩაიარა შუა აღმოსავლეთიდან ინტერვენტთა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის ლოზუნგით.

პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა გარუკეს დემონსტრანტები ხელკეტებით და დააპატიმრეს დემონსტრაციის 13 მონაწილე.

ამერიკის სამხედრო ხომალდების ესკადრა ჰოლანდიაში ჩავიდა

ჰაგა, 20 ივლისი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ჰოლანდიაში არაოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის ესკადრა, რომელშიც შედიან ავიონსანი „ინტრეპიდი“, მძიმე კრეისერი „კენბერრი“, კრეისერი „მაკონი“, ორი წყალქვეშა ნავი და ოთხი საესკადრო ნაღმოსანი.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმი 1958-59 სასწავლო წლისათვის აცხადებს მსმენელთა მიღებას რკინიგზის ტრანსპორტის ენერგომომარაგებისა და ენერგეტიკული მეურნეობის დარგის ქართული სექტორის III კურსზე და საელმავლო დარგის I კურსზე.

ტექნიკუმის პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, ხოლო III კურსზე — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოსებს შემდეგ სპეციალობებში: ელმავლები და რკინიგზების ენერგომომარაგება.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი სბუთები: ავტობიოგრაფია, სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), პასპორტი წარმოდგენილ უნდა იქნას განცხადებასთან ერთად, დაბადების მოწმობა (პირი), ოთხი ფოტოსურათი, ცნობა სამხედრო ვალდებულების შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

ტექნიკუმში მიიღებიან 30 წლამდე ასაკის პირები. ის პირები, რომლებმაც ფრიადზე დაამთავრეს არასრული და სრული საშუალო სკოლა, ტექნიკუმში მიიღებიან უგამოცდოდ. დანარჩენები აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: I კურსზე შემსვლელები — მათემატიკაში (ზეპირი), რუსულ ენაში (ზეპირი), ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), III კურსზე შემსვლელები — მათემატიკაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენაში (ზეპირი) და ქართულ ენაში (წერა).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 10 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. განცხადებები მიიღება: თბილისი, პლეხანოვის პრსპ. № 138.

ტექნიკუმში შემსვლელნი საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფილ იქნებიან შესაძლებლობის ფარგლებში.

მეფეაღურგთა დღესასწაული რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). რუსთავის მეტალურგებმა, მთელი ჩვენი ქვეყნის შავი მეტალურგიის მუშაკებთან ერთად დიდი ზეიმით აღნიშნეს მეტალურგის დღე — 20 ივლისი. ქალაქის ქუჩები საღღესასწაულოდ არის მორთული. ტრანსპარანტებზეა წარწერები: „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას“, „გაუმარჯოს მეტალურგის დღეს“, „ხელები შორს არაბეთის ქვეყნებისაგან“, „მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე“ და სხვ.

19 ივლისს მეტალურგთა სასახლეში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მეტალურგთა დღესასწაულს. სხდომის შემდეგ გაიმართა ესტონეთის რადიოს მსახიობთა კონცერტი.

კვირას დილიდანვე დაიწყო მასობრივი სეირნობა ქალაქის პარკებსა და ბაღებში. სტადიონზე გაიმართა სასპორტო შეჯიბრებანი. კინოთეატრებში უჩვენეს მეტალურგთა ცხოვრების ამსახველი სურათები, კლუბებსა და კულტურის სახლებში გაიმართა კონცერტები ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით.

რუსთავის მეტალურგთა ზეიმს მეტი ელფერი მისცა ამ დღეებში აქ სტალინოს მეტალურგიული ქარხნის დელეგაციის ჩამოსვლამ. დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სტალინოს მეტალურგიული ქარხნის მთავარი მექანიკოსის მოადგილე ვ. არმენი, მეფოლადე ვ. პეტრუბეინოსი, მვალცავი კ. პეტრუხინი, საბრძმედე საამქროს ოსტატი ა. ივანოვი და პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის წევრი ნ. კლეპიკოვი, გაეცნო ქართველ მეტალურგთა მუშაობის მეთოდებს, შეაჯამა სოციალისტური შეჯიბრების ნახევარი წლის შედეგები. დღესასწაულის დღეებში უკრაინელმა მეტალურგებმა დათვალიერეს რესპუბლიკის ღირსშესანიშნავი ადგილები, მონაწილეობა მიიღეს მეტალურგის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაში, მასპინძლებთან ერთად მოაწყეს მასობრივი სეირნობა.

პირველი საკავშირო კინოფესტივალი

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით ყოველწლიურად გაიმართება საბჭოთა კავშირის კინოფილმების საკავშირო კინოფესტივალი. ფესტივალის მიზანია საბჭოთა კავშირში გამოშვებული კინოფილმების ფდეური და მხატვრული დონის ამაღლება და კინომოღვაწეთა შორის შემოქმედებითი შეჯიბრების სტიმულირება.

ამ ნიზნით მიმდინარე წლის 16 ივნისიდან 3 ივლისამდე მოსკოვში კინოს ცენტრალურ სახლში მოეწყო პირველი საკავშირო კინოფესტივალი, სადაც დემონსტრირებულ იქნა ჩვენი ქვეყნის 26 კინოსტუდიის 106 საუკეთესო მხატვრული, ქრონიკალურ-დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და მულტიპლიკაციური ფილმი.

კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ ფესტივალზე წარდგენილი ჰქონდა მხატვრული ფილმები „საბუდარელი ჭაბუკი“, „მე ვიტყვი სიმართლეს“, „ქალის ტვირთი“, ქრონიკალურ-დოკუმენტური — „მზიურ მხარეში“, „ლადო გუდიაშვილი“, „ვიდი მწვერვალის დამპყრობნი“, მულტიპლიკაციური — „ჩხიკვთა ქორწილი“, „ხელმარჯვე ოსტატი“, სამეცნიერო-პოპულარული ფილმებიდან — „ილია ჭავჭავაძე“ და „ცვლა მოდის“, — დოკუმენტური—„წყალტუბო“, კინოჟურნალები „საბჭოთა საქართველო“ №№ 1, 14, 19, 24 და „პიონერი № 5“.

პირველი საკავშირო კინოფესტივალის ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საბჭოთა კავშირის ცნობილი კინომოღვაწეები, მხატვრული კინემატოგრაფიის დარგში მესამე პრემია მიენიჭა აგრეთვე „ხელმარჯვე ოსტატს“ (სცენარი ნინო ბენაშვილისა, რეჟისორი — ვახტანგ ბახტაძე, ოპერატორი — ვასილ შანიძე).

სპორტის ეროვნული ბიბლიოთეკა

★ ★

თბილისის საცურავ აუზში



ტრამპლინიდან და კოშკურიდან წყალში ხტომა სპორტის ერთ-ერთი ულამაზესი სახეობაა. ამიტომ იყო, რომ წყალში ხტომაში ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების გახსნას, რაც თბილისის ფიზკულტურის პარკის საცურავ აუზში გაიმართა, სპორტის მრავალი მოყვარული დაესწრო.

ერთმანეთს პირველობას ეცილება 300-მდე სპორტსმენი, რომელთა შორის არიან სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონები, ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენები.

საზეიმო ცერემონიალის დამთავრების შემდეგ 19 ივლისს გაიმართა პირველი შეხვედრები. ტრამპლინიდან ხტომაში ჭაბუკთა შორის უძლიერესი იყო ლატვის წარმომადგენელი ზონკუს პოველასი, რომელმაც 55, 10 ქულა შეაგროვა.

კოშკურიდან წყალში ხტომა ქალთა შორის ხასიათდებოდა საინტერესო ბრძოლით. განსაკუთრებით მიმზიდველი იყო ფინალური შეჯიბრება. სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა რ. გოროხოვსკაიამ (ლენინგრადი, 91,13 ქულა). მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს ა. კარაკაიტემ და ე. ილინოვამ.

20 ივლისს ვაეები პირველობისათვის იბრძოდნენ სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. გამარჯვებული გამოვიდა მოსკოველი რ. ბრენერი.

* * *

სურათზე: ტრამპლინიდან ხტომა ერთ-ერთი მომენტი ქალთათვის.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საერთაშორისო შეხვედრა

მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ჩემპიონები — მოსკოვისა და ზაგრების „დინამოს“ გუნდები. საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა მოსკოვის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2 : 1.

შეჯიბრება ნიჩბოსნობაში

მოსკოვში საინტერესო სპორტული ბრძოლით აღინიშნა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ნიჩბოსნობაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის.

ერთ და ორმოსასმელიანი ნავებით ასპარეზობაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რვამოსასმელიანი ნავებით შეჯიბრებაში — ამერიკელმა ნიჩბოსნებმა.

მოსკოველთა გამარჯვება

ვილნიუსში დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება ჭადრაკში.

სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება დაბრალმავალი ჯილდო — თასი მოიპოვეს მოსკოველმა მოჭადრაკეებმა, რომლებმაც 52,5 ქულა შეაგროვეს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ლენინგრადელები, მესამეზე — რსფსრ მოჭადრაკეები.

საქართველოს გუნდმა 32,5 ქულით მერვე ადგილი დაიკავა.

მძლეოსანთა ასპარეზობა

ტალინი. 21 ივლისი. (სპეც. კორ.). გრძელდება შეჯიბრება მძლეოსნობაში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. 100 მეტრზე რბენაში ვაეთა შორის ჩემპიონი გახდა ლ. ბარტენევი (10,6 წამი), 5.000 მეტრზე რბენაში — პ. ბოლოტნიკოვი (13 წუთი და 58,8 წამი), სიგრძეზე ხტომაში — ო. ფედოსეევი (7,75 მეტრი), ბირთვის კვრაში — ვ. ლოშჩინოვი (17,4 მეტრი).

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 20 ივლისი. აქ გაიმართა XX ჩემპიონატის პირველი წრის მიერიგი მატჩი ფეხბურთში დედაქალაქის „ტორპედოსა“ და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს შორის. 90 წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 3 : 3.

* * *

გუშინ მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა 1 : 0.

ალპინიადა ორწვერზე

ამ დღეებში საქართველოს პროფკავშირთა სასპორტო საზოგადოებების ალპინისტთა დიდმა ჯგუფმა 60 კაცის შემადგენლობით, რომელსაც სპორტის ოსტატი კ. ასტახიშვილი ხელმძღვანელობდა, მოაწყო მწვერვალ ორწვერზე (4.150 მეტრი) ასვლა.

ალპინისტები თბილისიდან 26 ივლისს გაემგზავრნენ და ბანაკი სოფელ გეგეთთან ვაჟე ორწყალზე (1.860 მეტრი) მოაწყეს. არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო ორწვერზე ასვლა გაძნელდა. მიუხედავად ამისა, 13 ივლისს ალპინისტებმა წარმატებით განახორციელეს ასვლა, იმავე დღეს დაეშვნენ ყაზბეგის მაღალმთიან მეტეოროლოგიურ სადგურში, ხოლო 15 ივლისს თბილისში დაბრუნდნენ.

ამრიგად, ალპინიადა წარმატებით დამთავრდა. საქართველოს პროფკავშირების სასპორტო საზოგადოებათა ალპინისტებმა ეს ასვლა თბილისის 1500 წლისთავზე და კომკავშირის 40 წლისთავზე მიუძღვნეს.

რედაქტორი პ. რატიანი.

ეი ივლისს ქალაქ მოსკოვში გაიმართება სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 64-ე ტირაჟი

ამ ტირაჟში სულ გათამაშდება 51 მილიონ 152 ათას 200 მანეთის 93.500 მოგება, მათ შორის:

22 მოგება, თითო 50.000-მანეთიანი
55 მოგება, თითო 25.000-მანეთიანი
275 მოგება, თითო 10.000-მანეთიანი
880 მოგება, თითო 5.000-მანეთიანი
7.700 მოგება, თითო 1.000-მანეთიანი
84.568 მოგება, თითო — 400-მანეთიანი.

ყოველწლიურად ეწყობა ამ სესხის მოგებათა 6 ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!

მონაწილეობა მიიღეთ მოგებათა ტირაჟში!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია
საზაფხულო თეატრი
(პლეხანოვის პრსპ. № 123)
23 ივლისს
სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის
კონცერტი
სამხატვრო ხელმძღვანელი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი
გ. თედეევი
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები იყიდება.

დღეს კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **კომუნარების ბაღი,** ფილარმონიის ბაღი, **პლეხანოვის სახელობის კლუბი,** კიროვის სახელობის **პარკი** — კაპიტან მარტენსის განძეული, **ამირანი,** (საზაფხულო), **ოქტომბერი** (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, თბილისი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ჩვენი ძვირფასი ექიმი, **ისანი** (საზაფხულო), **კოლმეურნე, ვაკის პარკი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — დამსხვრეული ოცნებანი, **კომკავშირელი** — თავხედი გოგონა, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — ცხელი ცხელ ქვეშ, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (საზაფხულო), **ყაზბეგი** — იდიოტი, **კოლხიდა** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** — სხვისი შვილები, **ოფიცერთა სახლი** — საბჭოთა ფილმების ფესტივალი, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **დიდუბე** (საზაფხულო) — დაუმარცხებელნი, **ცენტრალური კულტურის სახლი** (საზამთრო) — ქორწინება ანგარიშით.

სამხრეთ ოსეთის ოლქის ჯანმრთელობის განყოფილება იუწყება დამსახურებული ექიმის

ლიდა ვარდენის ასულ ნუცუბიძის

გარდაცვალებას. დაკრძალება 24-VII, ქ. სტალინირში, გამოსვენება ოქტომბრის ქ. № 37.